კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

თბილისის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი საქართველოში 2007-2008 წლის (ნოემბერი-იანვარი) პოლიტიკური მოვლენების შესახებ

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები

კვლევა განხორციელდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის **(ICCN)** მიერ ჰოლანდიური ფონდი „კორდეიდის“ მხარდაჭერით 2008 წელს. Cordaid გამოკითხვა ჩატარდა სოციალურ კვლევათა ინსტიტუტის (თბილისი, საქართველო) მონაწილეობით.

მეთოდოლოგია

სოციოლოგიური გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა.

კვლევის მეთოდი: სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის მეთოდით, კერძოდ, პირისპირ (face to face) ინტერვიუს ფორმის გამოყენებით.

გამოკვლევამ მოიცვა შემდეგი საკითხები:

- 2007 წლის 2-6 ნოემბრის საპროტესტო აქციების შეფასება;
- 200 7 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შეფასება;
- რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შეფასება;
- 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული მოლოდინები;
- მოქმედი პოლიტიკური ფიგურებისა და პოლიტიკური გაერთიანებების შეფასება
- ტელეარხების შეფასება (სპეციალური აქცენტი გაკეთდა საზოგადოებრივ მაუწყებელზე).

კვლევის ობიექტი: სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა მხოლოდ თბილისის მასშტაბით, უბნების მოსახლეობის პროპორციის გათვალისწინებით.

შერჩევა: რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა როგორც კვოტური, ისე შემთხვევითი შერჩევის პრინციპების დაცვით. კერძოდ, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გათვალისწინებით და შერჩევის რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად, გენერალურ ერთობლიობაში მოცემული პროპორციების შესაბამისად წინასწარ განისაზღვრა რესპონდენტთა კვოტები სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რაც შეეხება ოჯახებში რესპონდენტთა ამორჩევის წესს, აღნიშნული კვოტების ფარგლებში, შემთხვევითობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, გამოყენებულ იქნა უახლოესი დაბადების დღის პრინციპი. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრთა შორის ამ პრინციპით შერჩეული პიროვნება კვოტას არ შეესაბამებოდა, ინტერვიუერი გადადიოდა შემდეგ ოჯახზე და ასე მოძრაობდა მანამ, ვიდრე სასურველ რესპონდენტს არ იპოვიდა. ოჯახებს შორის ინტერვალი (ბიჯი) შეადგენდა 10-ს (ყოველი მე-10 ოჯახი). ინტერვიუერებს მიეწოდათ შერჩევის გეოგრაფიული წერტილები და გადაადგილების სივრცითი არეალი (ქუჩების და უბნების მიხედვით), რამაც გამორიცხა ერთსა და იმავე წერტილში განმეორებითი ვიზიტების შესაძლებლობა.

გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა თბილისის მოსახლეობა (18 წლის და ზევით), რაიონების (სულ 10 რაიონი), მოსახლეობის ზომის გათვალისწინებით. კვოტები (სქესის და ასაკის მიხედვით) განისაზღვრა მოსახლეობაში არსებული პროპორციების შესაბამისად.

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა შეადგენდა 1000 რესპონდენტს.

საველე სამუშაოები ჩატარდა 2008 წლის 5-16 თებერვალს.

საველე სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო 30-მა ინტერვიუერმა, რომელთაც აქვთ სოციოლოგიურ კვლევებში მონაწილეობის საკმარისი გამოცდილება. მათ ჩაუტარდათ სპეციალური ინსტრუქტაჟი კითხვარის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მონაცემების ანალიზი: პირველადი სოციოლოგიური მასალა დამუშავდა SPSS 10.0 კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ანალიზისას გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდები, როგორიცაა მონაცემების დაჯგუფება და ტიპოლოგიზაცია, კორელაციური ანალიზი, რეგრესიული ანალიზი და სხვ.

შედეგები და მათი ანალიზი

1. თქვენი აზრით, ძირითადად, რამ გამოიწვია 2007 წლის 2-6 ნოემბრის საპროტესტო გამოსვლები? (არაუმეტეს 2 პასუხისა)

1.	ხელისუფლების მიმართ ხალხში დაგროვილმა რეალურმა უკმაყოფილებამ	81.5
2.	ოპოზიციური პარტიების აქტიურობამ ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად	15.7
3.	ოქრუაშვილის მიერ სააკაშვილის მიმართ წაყენებულმა ბრალდებებმა	18.4

4.	ტელეკომპანია იმედის მიერ ხელისუფლების საწინააღმდეგო კამპანიამ	5.5
5.	ბ. პატარკაციშვილის ფარულმა პოლიტიკამ ხელისუფლების წინააღმდეგ	4.6
6.	სხვა*)	3.0
7.	მიჭირს პასუხის გაცემა	1.7**)

**)პასუხებში „სხვა“ ყველაზე ხშირი იყო „სოციალურმა მდგომარეობამ“ (2.2%) და „უსამართლობამ“ (0.4). დანარჩენი პასუხები თითოჯერ შეგხვდა.*
***) საერთო ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დაშვებული იყო ორი პასუხი.*

როგორც ვხედავთ, საპროტესტო გამოსვლების ძირითად მიზეზად სახელდება მოსახლეობაში დაგროვილი უკმაყოფილება; სხვა სიტყვებით, საპროტესტო აქციები თბილისელთა უმრავლესობის მიერ ინტერპრეტირდება როგორც <u>პასუხი</u> ხელისუფლების არასწორი კურსისადმი, და არა როგორც ვინმე აქტორის თუ აქტორების მიზანდასახული ქმედებების შედეგი.

2. გაერთიანებულ ოპოზიციას, ძირითადად, სურდა (არაუმეტეს 2 პასუხისა):

1.	საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნა	57.5
2.	ხელისუფლების გადაყენება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება	32.0
3.	ოპოზიციის სხვადასხვა წევრებს სხვადასხვა მიზნები ჰქონდათ	14.1
4.	საკუთარი ძალის დემონსტრირება	8.1
5.	სხვა*)	1.8
6..	მიჭირს პასუხი	4.9**)

**) „სხვა“ - 0.4 - ხალხის ინტერესების დაცვა; 0.3-0.3 - „სამართლიანობა“ და „სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება“. დანარჩენი პასუხები თითოჯერ შეგხვდა.*
***) საერთო ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დაშვებული იყო ორი პასუხი.*

ვფიქრობთ, რომ ამ შეკითხვაზე პასუხები (ისევე როგორც ბევრ სხვა კითხვაზე პასუხები) მკაფიოდ ასახავს თბილისის მოსახლეობის პოლიტიკური სიმპათიების განაწილებას: ოპოზიციის მომხრეები ირჩევენ პირველ პასუხს, ხელისუფლებისა - მეორეს და/ან მეოთხეს, ხოლო მესამე პასუხს ისინი, ვისაც არც ერთი მხარე მაინცდამაინც არ მოსწონს.

3. 2-6 ნოემბრის მიტინგებზე ხალხი მივიდა ძირითადად (არაუმეტეს 2 პასუხისა)

1.	ეკონომიკური გაჭირვების გამო	68.5
2.	თავიანთი კონსტიტუციური უფლებების დასაცავად	22.4
3.	ქვეყანაში გაბატონებული უსამართლობის გამო	45.9
4.	ხელისუფლების გადასაყენებლად მშვიდობიანი გზით	6.4
5.	„სეირის“ საყურებლად	3.3
6.	აჰყვა ოპოზიციის დემაგოგიას	10.7
7.	სხვა	0.3
8.	მიჭირს პასუხი	0.8*)

**) საერთო ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დაშვებული იყო ორი პასუხი.*

ცხადია, რომ ეკონომიკური გაჭირვება რჩება ქვეყნის მთავარ პრობლემად და ყოველი მასშტაბური სოციალური მოვლენა სწორედ მასთან ასოცირდება; ამგვარად, ხელისუფლების ნოემბრისშემდგომი ლოზუნგი, „საქართველო სიღარიბის გარეშე“, თუნდაც დეკლარაციის დონეზე, საერთო სოციალური ატმოსფეროს ადექვატურად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, მესამე პასუხის („ქვეყანაში გაბატონებული უსამართლობა“) მაღალი ხვედრითი წილი უთუოდ ნიშანდობლივია.

4. გჯერათ თუ არა, რომ 2-6 ნოემბრის მოვლენათა განვითარების უკან სახელმწიფო გადატრიალების ჩანაფიქრი იყო?

კი	22.6
არა	61.1
მიჭირს პასუხი	16.3

აქაც, პასუხები ასახავს მოსახლეობის რეალურ განწყობებს.

5. თვლით თუ არა, რომ 7 ნოემბრის დილას პარლამენტის წინ მოშიმშლეთა აქციის აღკვეთა იყო

1. კანონის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიება	15.5
2. პოლიციამ თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა	43.5
3. უკანონო თვითნებური ძალადობრივი ქმედება	35.0
4. მიჭირს პასუხი	6.0

6. თვლით თუ არა, რომ 7 ნოემბერს შუადღეზე რიყეზე მომიტინგეთა დაშლა იყო

1. კანონის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიება	11.2
2. პოლიციამ თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა	41.4
3. უკანონო თვითნებური ძალადობრივი ქმედება	40.3
4. მიჭირს პასუხი	7.1

7. თვლით თუ არა, რომ 7 ნოემბერს „იმედის“ შენობის დაკავება

1. კანონის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიება	8.2
2. პოლიციამ თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა	33.1
3. უკანონო თვითნებური ძალადობრივი ქმედება	51.8
4. მიჭირს პასუხი	6.9

7 ნოემბერს ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქციები რესპონდენტთა დიდი უმრავლესობის მიერ ნეგატიურად ფასდება. საინტერესოა შეფასებების თანმიმდევრული გამკაცრება ცალკეული აქციების მიხედვით (იხ. ბოლო სამი ცხრილი).

8. 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები იყო (1 პასუხი):

1. ხელისუფლების დანაშაული, კონსტიტუციის უხეში დარღვევა	36.4
2. ხელისუფლების მხრიდან ხალხის დაშინების აქცია	29.7
3. არასასურველი, მაგრამ იძულებითი ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან	20.5
4. ხელისუფლების ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება სახელმწიფოს უსაფრთხოების დასაცავად	9.5
5. სხვა	0.4
6. მიჭირს პასუხი	3.5

პასუხები წარმოდგენას გვაძლევს როგორც ოპოზიციის ისე ხელისუფლების მხარდამჭერთა რიგებში „უპირობო მომხრეებისა“ (პასუხი 1 ოპოზიციასთან მიმართებაში და პასუხი 4 - ხელისუფლებასთან) და „ზომიერების“ (პასუხი 2 ოპოზიციასთან მიმართებაში და პასუხი 3 - ხელისუფლებასთან) ხვედრითი წილის შესახებ.

9. თქვენი აზრით, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა 7 ნოემბრის მოვლენებისათვის?

1. მხოლოდ ოპოზიციას	3,5
2. უფრო ოპოზიციას	4,7
3. ორივე მხარეს ერთნაირად	36,7
4. უფრო ხელისუფლებას	20,9
5. მხოლოდ ხელისუფლებას	31,8
6. მიჭირს პასუხი	2,4

შედეგები თავისთავად ცხადია და კომენტარს არ საჭიროებს.

10. თქვენის აზრით, ვინ მიიღო გადაწყვეტილება 7 ნოემბერს ძალის გამოყენების თაობაზე? (ერთი პასუხი)

1. მიხეილ სააკაშვილმა ერთპიროვნულად	11.4
2. მიხეილ სააკაშვილმა თავის გუნდთან შეთანხმებით	56.7
3. მიხეილ სააკაშვილმა თავისი გუნდის ერთი ან რამდენიმე წევრის ზეწოლით	13.4
4. გადაწყვეტილება მიღებული იქნა მიხეილ სააკაშვილის გარეშე	3.2
5. მიჭირს პასუხი	15.2

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ გუნდურად იყო მიღებული.

11. როგორ ფიქრობთ, როგორ იმოქმედა 7 ნოემბრის მოვლენებმა საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე?

1. გაუმჯობესდა	3.2
2. იგივე დარჩა	21.6
3. გაუარესდა	64.1
4. მიჭირს პასუხი	11.1

აქაც, შედეგი კომენტარს არ საჭიროებს.

12. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა იყო (არაუმეტეს ორი პასუხისა):

1. ხელისუფლების ერთადერთი სწორი ნაბიჯი ფეთქებადი მდგომარეობის განსამუხტად	34.3
2. ხელისუფლების მხრიდან დათმობაზე წასვლა	19.8
3. აშშ-ს ზეწოლით მიღებული გადაწყვეტილება	34.8
4. ძალაუფლების შენარჩუნებისათვის გამიზნული ნაბიჯი	28.9
5. მიჭირს პასუხი	4.1*)

**) საერთო ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დაშვებული იყო ორი პასუხი.*

ყურადღებას იპყრობს მესამე პასუხის („აშშ-ს ზეწოლით მიღებული გადაწყვეტილება“) მაღალი პროცენტი. იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ე.წ. „ექსტერნალური კონტროლის ლოკუსით“ ხასიათდება; სხვა სიტყვებით, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მაკონტროლებლად გარე ძალები აღიქმება.

13. როგორ ფიქრობთ, რა ამოძრავებდა ბადრი პატარკაციშვილს (არაუმეტეს 2 პასუხისა):

მას ამოძრავებდა საკუთარი ბიზნეს ინტერესები	19.3
მისი ინტერესები ემთხვეოდა რუსეთის გეგმებს	9.6
მისი ინტერესები ემთხვეოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს	22.8
პირადი დაპირისპირება მ. სააკაშვილის გუნდთან	27.0
სხვა*)	2.5
მიჭირს პასუხი	27.6

**) პასუხებში „სხვა“ ყველაზე ხშირი იყო: ხალხის ინტერესები (1.3%), „მისი და ოპოზიციის ინტერესები ემთხვეოდა“ (0.5%), „ძალაუფლება სურდა“ (0.3%).*

როგორც ვხედავთ, შედეგები არაერთგვაროვანია, ძალზე მაღალია უარი პასუხზე. ჩანს, რომ მიუხედავად ხელისუფლებისა და თვით ბ. პატარკაციშვილის მცდელობებისა, საზოგადოებაში არ ჩამოყალიბდა მისი გამოკვეთილი, ანდა ორი პოლარული სტერეოტიპი.

14. იყვნენ თუ არა საარჩევნო კამპანიის დროს კანდიდატები თანაბარ პირობებში ჩაყენებული?

1. კი	10.2
2. მეტ-ნაკლებად	23.9

3. არა	57.5
4. მიჭირს პასუხი	8.4

15. როგორ აფასებთ ცსკ-ს მიერ ჩატარებულ მუშაობას:

1. დადებითად	9.3
2. უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	12.7
3. უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	15.2
4. უარყოფითად	51.5
5. მიჭირს პასუხი	11.3

16. როგორ აფასებთ უცხოელი დამკვირვებლების მიერ ჩატარებულ მუშაობას?

1. დადებითად	13.3
2. უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	14.8
3. უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	17.7
4. უარყოფითად	40.6
5. მიჭირს პასუხი	13.6

17. როგორ ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები

ნორმალურად და სამართლიანად	8.4
იყო დარღვევები, რომელთაც საერთო შედეგზე გავლენა არ მოუხდენიათ	24.6
ხელისუფლებამ შედეგები გააყალბა – რეალური შედეგებით, უნდა დანიშნულიყო მეორე ტური (მ. სააკაშვილი და ლ. გაჩეჩილაძე)	45.2
ხელისუფლებამ შედეგები გააყალბა – რეალური შედეგებით, პირველივე ტურში გაიმარჯვა ლ. გაჩეჩილაძემ	17.5
მიჭირს პასუხი	4.8

ამრიგად, რესპონდენტების უმრავლესობა უარყოფითად აფასებს საპრეზიდენტო არჩევნების ყველა ძირითად კომპონენტს. რაც შეეხება მათ შედეგებს, უმრავლესობის აზრით, ოფიციალური ვერსია არ შეესაბამება რეალურ სურათს, რომლის მიხედვითაც უნდა დანიშნულიყო მეორე ტური.

18. როგორ შეაფასებდით ქართული მართლმადებელი ეკლესიის პოზიციას 2-7 ნოემბრის მოვლენების დროს?

დადებითად	55.0
არც დადებითად, არც უარყოფითად	34.2
უარყოფითად	3.4
მიჭირს პასუხი	7.4

19. წინასაარჩევნო კამპანიაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერდა:

მ. სააკაშვილს	3.7

ოპოზიციის წამომადგენელს (ერთს ან რამდენიმეს)	2.9
ნეიტრალური იყო	81.6
მიჭირს პასუხი	11.8

შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალ ავტორიტეტს საქართველოს მოსახლეობაში.

20. რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკოსებსა თუ საზოგადოებრივ მოღვაწეებს (ჩამოთვლილია ანბანის მიხედვით)

1. სრულიად ვენდობი
2. უფრო ვენდობი, ვიდრე არა
3. არც ისე, არც ასე
4. უფრო არ ვენდობი, ვიდრე კი
5. სრულიად არ ვენდობი
6. მიჭირს პასუხი

	1	2	3	4	5	6
1. ჯონდი ბაღათურია	3.7	7.8	21.0	11.6	43.3	12.6
2. ლევან ბერძენიშვილი	22.7	23.3	19.3	6.8	21.8	6.1
3. კახა ბენდუქიძე	0.9	1.8	6.7	5.6	79.3	5.7
4. გიგა ბოკერია	3.1	3.6	5.3	4.3	80.4	3.3
5. ნინო ბურჯანაძე	17.9	15.1	17.0	8.4	38.5	3.1
6. კონსტანტინე გამსახურდია	10.8	13.5	23.9	9.4	35.9	6.5
7. დავით გამყრელიძე	18.3	30.1	24.8	5.7	16.5	4.6
8. ლევან გაჩეჩილაძე	35.2	21.0	15.5	5.0	19.4	3.9
9. ლადო გურგენიძე	12.8	14.2	12.9	4.5	28.7	26.9
10. კობა დავითაშვილი	20.7	24.3	20.4	6.8	22.9	4.9
11. სალომე ზურაბიშვილი	15.2	18.7	20.8	9.2	30.2	5.9
12. გივი თარგამაძე	3.5	5.1	8.8	5.6	71.2	5.8
13. გიორგი თარგამაძე	39.6	20.7	12.8	4.6	17.6	4.7
14. ლევან თარხნიშვილი	3.2	4.5	10.3	4.8	63.2	14.0
15. გია თორთლაძე	15.7	15.4	21.4	5.8	25.1	16.6
16. თემურ იაკობაშვილი	2.9	3.8	7.9	4.6	37.7	43.1
17. ილია II	90.2	4.0	1.6	0.1	2.4	1.7
18. კახა კუკავა	29.4	22.1	15.5	5.0	20.8	7.2
19. კახა ლომაია	3.2	5.6	8.4	5.8	72.2	5.6
20. გია მაისაშვილი	11.3	15.1	22.3	24.8	19.2	7.3
21. ვანო მერაბიშვილი	4.8	3.7	9.0	4.0	72.9	5.6
22. მაია ნადირაძე	2.1	3.6	6.5	5.0	78.3	4.5
23. შალვა ნათელაშვილი	19.3	19.0	25.4	5.9	26.4	4.0
24. გია ნოდია	3.6	5.5	8.4	4.2	47.4	30.9
25. ირაკლი ოქრუაშვილი	15.9	12.3	19.5	7.6	32.7	12.0
26. ბადრი პატარკაციშვილი*	12.6	11.3	15.7	5.3	31.8	16.3
27. ნიკა რურუა	2.5	2.7	7.1	4.2	53.0	30.5
28. მიხეილ სააკაშვილი	20.2	12.6	15.4	6.8	39.6	5.4

29. ირინა სარიშვილი	1.8	2.5	12.8	9.2	68.5	5.2
30. ეკა ტყეშელაშვილი	6.1	5.9	7.4	5.1	56.4	19.1
31. დავით უსუფაშვილი	24.2	23.5	19.7	4.7	18.2	9.7
32. ზვიად ძიძიგური	25.1	21.6	19.0	5.4	21.5	7.4
33. ფიქრია ჩიხრაძე	15.8	21.2	23.7	7.5	24.0	7.8
34. გიორგი ხაინდრავა	14.3	16.3	23.5	6.1	33.4	6.4
35. ეკა ხერხეულიძე	3.5	3.0	5.7	4.0	55.7	28.1
36. თინა ხიდაშელი	30.4	24.1	17.0	4.3	17.9	6.3

**)გამოკითხვის პროცესში მოვიდა ცნობა ბ. პატარკაციშვილის გარდაცვალების შესახებ; ეს, მოვლენათა სწრაფი ცვალებადობის გათვალისწინებით, შესაბამისი მონაცემების სანდოობაზე, სავარაუდოდ, იმოქმედებდა.*

ჯამური რეიტინგი (სრულიად ვენდობი + უფრო ვენდობი, ვიდრე არა) (კლების მიხედვით

1. ილია II	94,2
2. გიორგი თარგამაძე	60,3
3. ლევან გაჩეჩილაძე	56,2
4. თინა ხიდაშელი	54,5
5. კახა კუკავა	51,5
6. დავით გამყრელიძე	48,4
7. დავით უსუფაშვილი	47,7
8. ზვიად ძიძიგური	46,7
9. ლევან ბერძენიშვილი	46,0
10. კობა დავითაშვილი	45,0
11. შალვა ნათელაშვილი	38,3
12. ფიქრია ჩიხრაძე	37,0
13. სალომე ზურაბიშვილი	33,9
14. ნინო ბურჯანაძე	33,0
15. მიხეილ სააკაშვილი	32,8
16. გია თორთლაძე	31,1
17. გიორგი ხაინდრავა	30,6
18. ირაკლი ოქრუაშვილი	28,2
19. ლადო გურგენიძე	27,0
20. გია მაისაშვილი	26.4
21. კონსტანტინე გამსახურდია	24,3
22. ბადრი პატარკაციშვილი	23,9
23. ეკა ტყეშელაშვილი	12,0
24. ჯონდი ბაღათურია	11,5
25. გია ნოდია	9,1
26. კახა ლომაია	8,8
27. გივი თარგამაძე	8,6
28. ვანო მერაბიშვილი	8,5
29. ლევან თარხნიშვილი	7,7

30. გიგა ბოკერია	6,7
31. თემურ იაკობაშვილი	6,7
32. ეკა ხერხეულიძე	6,5
33. მაია ნადირაძე	5,7
34. ნიკა რურუა	5,2
35. ირინა სარიშვილი	4,3
36. კახა ბენდუქიძე	2,7

ამრიგად, საჯარო ფიგურებში, ყველა დანარჩენებისაგან დიდი სხვაობით, უმაღლესი ნდობით სარგებლობს ილია II.

რაც შეეხება პოლიტიკოსებს, მოცემული პერიოდისათვის ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს გიორგი თარგამაძეს, მას მოყვება ოპოზიციური ეროვნული საბჭოს ლიდერების მთელი ჯგუფი, ლევან გაჩეჩილაძის პირველობით. ახლა ძნელია მსჯელობა, თუ რა განვითარება ექნება საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს, სიტუაციური მოვლენაა გიორგი თარგამაძის რეიტინგი, თუ ჩვენს თვალწინ იქმნება ახალი ოპოზიციური ძალა, რომელმაც შეიძლება შეავიწროვოს საპარლამენტო არჩევნების ფავორიტები. ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოსათვის ახალი მოვლენაა, რომ ახალი პოლიტიკური ლიდერის რეიტინგი დაგროვილია ძირითადად არა მიტინგებზე, არამედ ტელეეკრანის მეშვეობით.

ხელისუფლების გუნდი, ნ. ბურჯანაძისა და მ. სააკაშვილის სახით, ცხრილში ჩნდებიან 14-15 ადგილებიდან (რეიტინგები დაახლოებით ტოლია; ნ. ბურჯანაძეს ოდნავ მეტი აქვს ჯამური მაჩვენებელი, ხოლო მ. სააკაშვილს – მაჩვენებელი „სრულიად ვენდობი“). საშუალო რეიტინგი აქვს ლ. გურგენიძესაც, დანარჩენები კი ცხრილის ბოლოს განლაგდნენ. ანალიზი აჩვენებს, რომ სახელისუფლო გუნდით (ნ. ბურჯანაძისა და ლ. გურგენიძის გამოკლებით) უკმაყოფილონი არიან არა მარტო ოპოზიციის მხარდამჭერნი, არამედ პირადად მ. სააკაშვილის მომხრეებიც (იხ. ქვემოთ, კითხვა 21.2).

ფაქტორული ანალიზი

რეიტინგების ცხრილზე ჩატარდა ფაქტორული ანალიზის სახით ცნობილი სტატისტიკური პროცედურა, რომელმაც საინტერესო შედეგები მოგვცა. ფაქტორული ანალიზი გვიჩვენებს, თუ რამდენად სინქრონულად იცვლება ცალკეული ფიგურების შეფასებები. მაგალითად, თუ რესპონდენტი N-ი A-ს აფასებს დადებითად, რამდენად დიდი შანსია, რომ იგი B-საც დადებითად შეაფასებს, ხოლო C-ს – უარყოფითად; რესპონდენტი NN-ი კი, თუ აფასებს C-ს დადებითად, რამდენადაა მიდრეკილი, უარყოფითად შეაფასოს A-ც და B-ც.

პროცედურის შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა ორი გუნდი, რომელმაც მოიცვა ცხრილში შეტანილი ყველა პირი, ილია II-ის გარდა. შედეგები მოყვანილია ცხრილებში. განმარტებისათვის: რიცხვითი მაჩვენებელი არ მიუთითებს არც ნდობაზე და არც ლიდერობაზე, იგი აღნიშნავს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ამა თუ იმ პოლიტიკოსის ***საკუთარ გუნდთან ასოცირების ხარისხს (ამრიგად, მომდევნო ცხრილი რეიტინგს არ აჩვენებს).***

ხელისუფლების გუნდი	
1. მიხეილ სააკაშვილი	0.75
2. ლევან თარხნიშვილი	0.70

3. ეკა ტყეშელაშვილი	0.70
4. ნინო ბურჯანაძე	0.67
5. ვანო მერაბიშვილი	0.67
6. გივი თარგამაძე	0.67
7. ნიკა რურუა	0.66
8. გიგა ბოკერია	0.65
9. მაია ნადირაძე	0.65
10. კახა ლომაია	0.65
11. გია ნოდია	0.62
12. ეკა ხერხეულიძე	0.61
13. კახა ბენდუქიძე	0.58
14. თემურ იაკობაშვილი	0.57
15. ლადო გურგენიძე	0.53

ოპოზიცია	
1. ლევან გაჩეჩილაძე	0.83
2. კახა კუკავა	0.80
3. კობა დავითაშვილი	0.78
4. ზვიად ძიძიგური	0.77
5. გიორგი ხაინდრავა	0.77
6. სალომე ზურაბიშვილი	0.75
7. ლევან ბერძენიშვილი	0.75
8. თინა ხიდაშელი	0.74
9. გია თორთლაძე	0.74
10. შალვა ნათელაშვილი	0.66
11. გიორგი თარგამაძე	0.65
12. კონსტანტინე გამსახურდია	0.65
13. ბადრი პატარკაციშვილი	0.62
14. ჯონდი ბაღათურია	0.60
15. ირაკლი ოქრუაშვილი	0.60
16. ფიქრია ჩიხრაძე	0.60
17. დავით უსუფაშვილი	0.59
18. გია მაისაშვილი	0.56
19. დავით გამყრელიძე	0.53
20. ირინა სარიშვილი	0.31

სახელისუფლებო გუნდში ყურადღებას იპყრობს ორი შედარებით ახალი წევრის, ლევან თარხნიშვილისა და ეკა ტყეშელაშვილის მაღალი ინდექსი.

როგორც ცხრილებიდან ჩანს, ხელისუფლების გუნდში განსხვავება უმაღლესსა და უმცირეს მაჩვენებელს შორის ნაკლებია, ვიდრე ოპოზიციის ჯგუფში, რაც შეიძლება იმის ნიშანი იყოს, რომ სახელისუფლების გუნდი საზოგადოების თვალში უფრო „შეკრულად“ გამოიყურება.

21. გთხოვთ აღნიშნოთ, რამდენად ეთანხმებით ჩამოთვლილ დებულებებს

1. სავსებით ვეთანხმები
2. უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა
3. არც ისე, არც ასე
4. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი
5. სრულიად არ ვეთანხმები
6. მიჭირს პასუხი

21.1

	1	2	3	4	5	6
ქუჩის აქციებს მხოლოდ დესტაბილიზაცია მოაქვს და პრობლემების რეალურ გადაჭრას არ უწყობს ხელს	29.0	13.4	11.9	15.0	26.9	3.8

პასუხები პრაქტიკულად სიმეტრიულადაა განაწილებული; სხვა სიტყვებით, თბილისელებში ამ დროისათვის „წყნარი ცხოვრების მოყვარულები“ და „შფოთისთავები“ დაახლოებით თანაბრადაა წარმოდგენილი.

21.2

	1	2	3	4	5	6
პრეზიდენტი უფრო სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებდა, გარემოცვა რომ არ ჰყავდეს ასეთი	42.7	21.6	8.5	5.4	14.2	7.6

ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ მ. სააკაშვილის გუნდით უკმაყოფილების ხარისხი თბილისელებში მაღალია. მოცემული შედეგი ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

21.3

	1	2	3	4	5	6
საქართველო ბოლო წლებში დემოკრატიის მაჩვენებლების მხრივ სულ უკან და უკან მიდის	29.9	14.0	15.6	12.3	20.4	7.8

საერთო ფონზე მოცემული შედეგი გარკვეულად მოულოდნელია. დებულებასთან თანხმობის მაჩვენებლები არცთუ მნიშვნელოვნად აღემატება საწინააღმდეგო პოზიციის გამომხატველ მაჩვენებლებს. ასახსნელად შეიძლება რამდენიმე ვარაუდის გამოთქმა. შესაძლოა, რომ მოსახლეობის ნაწილისათვის ბოლო რამდენიმე თვის მოვლენები საერთოდ არ უკავშირდება დემოკრატიის დისკურსს; სხვა ნაწილისათვის, შესაძლოა, საპროტესტო აქციების ინტენსიურობა და ხანგრძლივი ხასიათი სწორედაც დემოკრატიულობის ნიშანია.

21.4

	1	2	3	4	5	6
კონსტიტუციური მონარქიის შემოღება ნამდვილად გამოსავალი იქნებოდა საქართველოსათვის	12.6	9.0	8.8	11.0	33.2	25.4

ჩანს, რომ კონსტიტუციური მონარქიის იდეა არცთუ პოპულარულია თბილისის მოსახლეობაში.

21.5

	1	2	3	4	5	6
სააკაშვილის ხელისუფლებამ ბოლო თვეებში გამოხატული პროტესტისგან კარგი გაკვეთილი მიიღო. ის შეეცდება აღარ	29.8	20.3	12.2	7.9	21.1	8.7

გაიმეოროს შეცდომები და ქმედითი ნაბიჯები გადადგას მოსახლეობის საკეთილდღეოდ						

შედეგი საკმაოდ საინტერესოა. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, საპროტესტო აქციების გავლენით, პრეზიდენტი და ხელისუფლება მეტ ანგარიშს გაუწევს მოსახლეობის განწყობას და საჭირბოროტო პრობლემებს.

21.6

	1	2	3	4	5	6
მოსახლეობას საპარლამენტო არჩევნების სამართლიანობის არ სჯერა და მზადაა, ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი რევოლუცია მოაწყოს	12.7	11.4	10.6	11.9	36.9	16.5

შედეგი ეხმაურება წინა შედეგს. რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საპარლამენტო არჩევნები უფრო სამართლიანად ჩატარდება (იხ. კითხვა 22).

21.7

	1	2	3	4	5	6
თუ სააკაშვილის ხელისუფლება შეიცვლება, საქართველო პროგრესის მიმართულებით სვლას შეწყვეტს და 90-იანი წლების დასაწყისის ქაოსში დაბრუნდება	12.1	8.0	6.6	12.0	47.2	14.1

ამრიგად, მოსახლეობის უმრავლესობის ხედვით, ხელისუფლების შეცვლა არ გამოიწვევს სერიოზულ დესტაბილიზაციას.

22. თქვენი აზრით, სამართლიანად ჩატარდება თუ არა გაზაფხულზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები?

ძირითადად სამართლიანად ჩატარდება	14.2
უფრო სამართლიანად ჩატარდება, ვიდრე არა	29.5
უფრო უსამართლოდ ჩატარდება, ვიდრე კი	20.9
ძირითადად უსამართლოდ ჩატარდება	12.1
მიჭირს პასუხის გაცემა	23.3

რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად, ან თუნდაც უფრო სამართლიანად ჩატარდება, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები (იხ. შეკითხვა 17).

23. თქვენი აზრით, როგორ იქნება წარმოდგენილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მომავალ პარლამენტში

მოიპოვებს საკონსტიტუციო უმრავლესობას (2/3 მეტს)	11.7
მოიპოვებს უბრალო უმრავლესობას (50%-ზე მეტს)	27.8
ეყოლება ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქცია სხვებთან შედარებით	11.2
აღმოჩნდება უმცირესობაში	18.9
საერთოდ ვერ შევა პარლამენტში	2.7
მიჭირს პასუხის გაცემა	27.7

შედეგები მეტყველია და კომენტარს არ საჭიროებს.

24. თქვენის აზრით, რომელი პოლიტიკური გაერთიანებები შევლენ მომავალ პარლამენტში (დღევანდელი მდგომარეობით)

	ნამდვილად შევა	ალბათ შევა	ალბათ ვერ შევა	ნამდვილად ვერ შევა	მიჭირს პასუხი
ახალი მემარჯვენეები – მრეწველები (დავით გამყრელიძე – გოგი თოფაძე)	29.6	41.9	8.4	2.8	17.3
ბ.პატარკაციშვილის პარტია	4.1	14.8	21.9	32.8	26.4
ეროვნული საბჭო – ოპოზიციური პარტიების გაერთიანება	61.7	25.2	2.9	2.1	8.1
იმედი (ირინა სარიშვილი)	0.6	2.1	11.1	76.1	10.1
ლეიბორისტული პარტია (შალვა ნათელაშვილი	21.7	42.6	14.3	12.1	9.3
მომავლის პარტია (გია მაისაშვილი)	1.7	9.0	20.7	53.1	15.5
ნაციონალური მოძრაობა (მიხეილ სააკაშვილი)	77.2	12.4	2.0	3.4	5.0
სხვა*					

*გრაფაში „სხვა“ 137-მა რესპონდენტმა დაასახელა ქრისტიან-დემოკრატები (ეს პარტია ჩვენს სიაში არ შევიდა, რადგან დაფუძნდა გამოკითხვის დაწყების შემდეგ). ამ 137-დან 47.4%-მა მიუთითა „ნამდვილად შევა“, ხოლო 35.0%-მა „ალბათ შევა“.

ამრიგად, ფავორიტებად აღიქმება ნაციონალური მოძრაობა და ეროვნული საბჭო. მათ მოსდევთ გაერთიანება ახალი მემარჯვენეები-მრეწველები და ლეიბორისტული პარტია. თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე გიორგი თარგამაძის მაღალ რეიტინგს და ახლადშექმნილი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ხშირ დასახელებას გრაფაში „სხვა“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პარტიაც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე.

25. აპირებთ თუ არა თავად თქვენ 2008 წლის გაზაფხულზე დაგეგმილ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?

აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას	73.6

ალბათ მივიღებ მონაწილეობას	14.3
ალბათ არ მივიღებ მონაწილეობას	3.1
არავითარ შემთხვევაში არ მივიღებ მონაწილეობას	4.1
მიჭირს პასუხის გაცემა	4.9

როგორც ჩანს, ამომრჩეველთა მაღალ აქტიურობას უნდა ველოდოთ.

26. რამდენად ხშირად სარგებლობთ ქვემოთ ჩამოთვლილი ქართული ტელეარხებით ქვეყანაში მიმდინარე <u>პოლიტიკური პროცესების</u> შესახებ ინფორმაციის მისაღებად?

ტელეარხები	ძალზე ხშირად	მეტ-ნაკლებად ხშირად	იშვიათად	არასოდეს	არ არის ხელმისაწვდომი
კავკასია	34.1	23.0	22.8	16.3	3.8
მაესტრო	4.7	12.1	20.9	49.3	13.0
მზე	19.1	37.0	25.5	15.5	2.9
რუსთავი 2	47.5	29.9	14.1	8.1	0.4
საზოგადოებრივი მაუწყებელი (1 არხი)	15.8	34.7	27.1	21.4	1.0

ამრიგად, ლიდერობენ „რუსთავი2“ და „კავკასია“. საზოგადოებრივი მაუწყებლის მაჩვენებლები ერთობ დამაფიქრებელია.

27. გთხოვთ შეაფასოთ ჩამოთვლილი ტელეარხები 7 ნოემბერს „იმედის“ დახურვამდე, თქვენი მათ მიმართ ნდობის მიხედვით

1. სრულიად ვენდობოდი
2. უფრო ვენდობოდი, ვიდრე არა
3. არც ისე, არც ასე
4. უფრო არ ვენდობოდი, ვიდრე კი
5. სრულიად არ ვენდობოდი

88. არა იყო ხელმისაწვდომი

99. მიჭირს პასუხი

	1	2	3	4	5	88	99
„იმედი“	73.1	11.0	8.0	2.8	2.9	0.4	1.8
„კავკასია“	28.2	13.7	21.0	7.5	12.3	3.2	14.1
„მზე“	6.6	16.8	33.7	14.4	16.3	2.0	10.1
„რუსთავი2“	13.1	19.4	25.3	14.1	24.5	0.2	3.3
საზოგადოებრივი მაუწყებელი (I არხი)	7.1	12.6	28.7	14.2	27.7	0.6	9.1

სურათი ცხადია - „იმედს“ კონკურენტი არ ჰყავდა, თუნდაც რეტროსპექტული შეხედვით.

28. გთხოვთ შეაფასოთ ჩამოთვლილი ტელეარხები დღევანდელ ვითარებაში

1. სრულიად ვენდობი
2. უფრო ვენდობი, ვიდრე არა
3. არც ისე, არც ასე

4. უფრო არ ვენდობი, ვიდრე კი
5. სრულიად არ ვენდობი
88. არაა ხელმისაწვდომი
99. მიჭირს პასუხი

	1	2	3	4	5	88	99
„კავკასია“	37.7	14.3	16.2	5.5	11.1	3.1	12.1
„მაესტრო“	8.2	5.0	15.9	6.1	14.1	13.1	37.6
„მზე“	8.8	17.6	33.1	11.5	17.0	2.2	9.8
„რუსთავი2“	18.0	16.4	28.2	12.3	22.1	0.2	2.8
საზოგადოებრივი მაუწყებელი (I არხი)	9.2	13.5	31.4	12.9	24.3	0.6	8.1

ვფიქრობთ, მოცემული შედეგიც კარგად ასახავს თბილისის მოსახლეობაში არსებულ ტენდენციებს.

29. ქვემოთ მოტანილი დებულებები საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკურ პროფილს შეეხება; თქვენ რომელ დებულებას გაიზიარებდით?

საზოგადოებრივი მაუწყებელი, დღესდღეობით, ხელისუფლების სამსახურში დგას და მის ინტერესებს იცავს	63.7
საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმატებით ახერხებს არ იყოს ტენდენციური და თანაბარი ხარისხით ასახოს სხვადასხვა (ხშირად ურთიერთსაპირისპირო) პოლიტიკურ ძალთა პოზიციები	18.2
საზოგადოებრივი მაუწყებელი უფრო მეტად ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ინტერსებს გამოხატავს	0.1
მიჭირს პასუხის გაცემა	17.8

ცხადია, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ რესპონდენტთა უმრავლესობაში მკაფიოდ ასოცირდება ხელისუფლებასთან.

30. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ბევრი რამაა შესაცვლელი?

სრულიად ვეთანხმები	73.6
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	9.1
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	2.7
სრულიად არ ვეთანხმები	1.3
მიჭირს პასუხის გაცემა	13.3

31. რას მოელით საზოგადოებრივი მაუწყებლის (1 არხი) ხელმძღვანელობის შეცვლისაგან

დადებითად იმოქმედებს არხის მუშაობაზე	59.2
არაფერს შეცვლის	12.7
უარყოფითად იმოქმედებს არხის მუშაობაზე	0.7
მიჭირს პასუხის გაცემა	27.4

ამრიგად, ცვლილებების მომხრეა გამოკითხულთა უმრავლესობა; ამასთან, საინტერესოა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობის შეცვლას გამოკითხულთა უმრავლესობა ოპტიმისტურად უყურებს.

შედეგების შეჯამება და დასკვნები

- *თბილისის მოსახლეობის უმრავლესობის სიმპათიები ოპოზიციის მხარესაა*
- *ოპოზიციურ განწყობებს საფუძვლად უდევს ძირითადად ნეგატივიზმი, ანუ უკმაყოფილება არსებული ხელისუფლებით*
- *უკმაყოფილება უკავშირდება უფრო მ. სააკაშვილის გუნდს, ვიდრე თვითონ მას*
- *ოპოზიციასთან ასოცირებული პრაქტიკულად ყველა ქმედება, ინსტიტუტი, პიროვნება და ა.შ. ფასდება საგრძნობლად უფრო დადებითად, ვიდრე ეს ყოველივე, თუ იგი უკავშიორდება ხელისუფლებას (მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებელი)*
- *მოსახლეობის უმრავლესობა ოპტიმისტურადაა განწყობილი – თვლის, რომ საპროტესტო აქციებმა შედეგი გამოიღო – მომავალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება (უფრო) სამართლიანად, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობის შეცვლა დადებით შედეგებს მოიტანს*
- *საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩევლის მაღალი აქტიურობაა მოსალოდნელი*
- *მოსალოდნელია, რომ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში გაჩნდება ახალი ანგარიშვასაწევი ძალა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისა და მისი ლიდერის, გიორგი თარგამაძის სახით*
- *ბ. პატარკაციშვილის არც ცალსახა და არც ორმხრივ-პოლარული შეფასება საზოგადოებრივ ცნობიერებაში არაა ჩამოყალიბებული*
- *ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და პირადად კათალიკოს-პატრიარქი ილია II არ ასოცირდებიან პოლიტიკასთან; მათი საზოგადოებრივი რეიტინგი ძალზე მაღალია*
- *კონსტიტუციური მონარქიის იდეა თბილისი მოსახლეობაში სერიოზული პოპულარობით არ სარგებლობს*

დემოგრაფიული მონაცემები

სქესი

მამრ.	46.5
მდედრ.	53.5

ასაკი

18-25	15.1
26-35	18.0
36-45	20.2

46-55	17.5
56-65	12.4
65+	16.8

განათლება

არ მივლია სკოლაში	0.1
დაწყებითი	0.5
დაუსრულებელი საშუალო	1.2
საშუალო	16.0
საშუალო ტექნიკური	17.5
არასრული უმარლესი	7.1
უმაღლესი	57.6

მატერიალური მდგომარეობა

ძალიან დაბალი	9.8
დაბალი	30.9
საშუალო	57.9
მაღალი	1.4
ძალიან მაღალი	0